


თაზო III

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიზნაგები

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 9 575 000.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 4 572 679.8 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 47.8%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 4 404 951.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.3%-ია.

საქართველოს 2011-2015 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების 6 თვის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 8 005 443.2 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 3 855 269.3 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 48.2%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 3 740 580.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.0%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 853 243.8 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 273 471.8 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 32.1%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 240 784.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 88.0%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა


„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 297 090.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 205 895.7 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 69.3%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 187 373.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91.0%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 419 223.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 238 043.0 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 56.8%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 236 213.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.2%-ია.

2015 წლის 6 თვის ასიგნებების სტრუქტურა

(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. 2015 წლის 1 იანვრიდან 500 ლარით გაიზარდა და განისაზღვრა თითოეულ ოჯახზე 1 000 ლარის ოდენობით საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებზე, ასევე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებზე გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციის თანხა. სულ საანგარიშო პერიოდში საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამული კოდიდან გადარიცხულ იქნა 681.3 მლნ ლარი.

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ლატაკი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა, ასევე, სოციალური პაკეტის დაფინანსება შშმ პირებისთვის, შშმ ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის და სხვა მოწყვლადი კატეგორიებისათვის, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარების გაცემა. სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ 292.6 მლნ ლარი;

- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში (სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან), რომლის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პროგრამამ მოიცვა ასევე, გეგმიურ-ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები (გეგმიური ქირურგული ოპერაციები მ.შ. კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა, მშობიარობა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები და ა.შ.). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 267.5 მლნ ლარი;

- საქართველოს თავდაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების მიერ დაფინანსებულ იქნა მოსამსახურეთა სადაზღვევო პრემიები;

- სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემის მიზნით გადამოწმდა 359 ობიექტი და აღწერილ იქნა 5 307 ოჯახი. საანგარიშო პერიოდში ბინები საკუთრებაში გადაეცა 1 463 ოჯახს. დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდა 566 დევნილი ოჯახი, განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 5 ობიექტის გამოსყიდვა - სულ 63 ბინა და შეძენილ იქნა 136 საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მიმდინარეობდა მენაშენებლისაგან საცხოვრებელი ბინების შეძენა ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. N7-ში და კალაუბნის ქ. N22-ში, დიდი დიდმის I მიკრო რაიონში,

დოდაშვილის ქ. N22/18, კაიროს ქ. N320-ში, ქ. ქუთაისში, ერისთავის ქ. N7-ში, ქ. ბორჯომში, მესხეთის ქ. N33-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსებიდან და ასევე, გრძელდებოდა ქ. თბილისში, ახლადაშენებულ კორპუსებში, ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით ბინების შექმნა. აგრეთვე, სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 96 ობიექტს ქ. თბილისის მერიასთან თანადაფინანსებით

ამასთან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით გადაადგილებული პირების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმართული იქნა 18.4 მლნ ლარი, რომელიც ძირითადად მიიმართა:

- ✓ ქ. ზუგდიდში, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 10 საცხოვრებელი კორპუსის და საცხოვრებელი უბნის გარე საინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე, ასევე ტერიტორიის კეთილმოწყობაზე;
- ✓ ქ. ფოთში, მალთაყვის უბანში, იძულებით გადაადგილებულ პირთა 32 საცხოვრებელი კორპუსის გარე ჰიდრო და თბოიზოლაციის მოწყობაზე;
- ✓ იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში იძულებით გადაადგილებულ პირთა 6 კოლექტიური ცენტრის ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.
- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 1 548 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 571 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 200-დან 300 ლარამდე);
 - საქართველოში 2015 წლის 17 ივნისიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, შპს „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით მიმდინარეობდა 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი და აგრეთვე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახებისათვის შეძენილი (211 000-მდე) ციფრული მაუწყებლობის ინდივიდუალური მიმღებების (სეთ-თოფ ბოქსების) გაცემა/ჩაბარების პროცესი;
 - ქვეყანაში არსებული 2.0 ათასზე მეტი საჯარო და 300-მდე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად სულ მიიმართა 203.5 მლნ ლარი;
 - მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და პროფესიულ კოლეჯებში სულ დასაქმებულია 1 140 მანდატური, რომლებიც გადანაწილებულნი არიან 410 საჯარო და 3 კერძო სკოლაში, 2 პროფესიულ სასწავლებელში და 1 უნივერსიტეტში. ამ მიზნით მიიმართა 5.4 მლნ ლარი;
 - განხორციელდა კონფლიქტის ზონებში მცხოვრები პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება, ამ მიზნით მიიმართა 1.1 მლნ ლარი;
 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო 1 108 საჯარო სკოლის 58 ათასზე მეტი მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია. ამ მიზნით მიიმართა 8.3 მლნ ლარი;
 - დასრულდა 69 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები და ერთი ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა. ასევე, დაფინანსება მიეცა 28 საგანმანათლებლო დაწესებულებას, სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით.
 - „სპორტსმენთა სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები გაიცა 430 სპორტსმენზე, მწვრთნელზე და საექიმო პერსონალზე. „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 308 ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 31 სახელოვან სპორტსმენს, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით;
 - სპორტულ სახეობათა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 100 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი და 150 სასწავლო - საწვრთნო შეკრება სპორტის 45 სახეობაში. ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 110 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში და მოიპოვეს 495 მედალი (154 ოქრო, 134 ვერცხლი და 207 ბრინჯაო);

- განხორციელდა სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში რიცხული 150 სპორტსმენის, მათ შორის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებისა და კანდიდატების უზრუნველყოფის პროგრამა საცხოვრებლით, კვებით და სპორტული დარბაზებით;
- მიმდინარეობდა 2015 წელს ქ. თბილისში გასამართი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად (მათ შორის ოლიმპიური სტანდარტის დონის საცურაო აუზის ასაშენებლად) საჭირო ღონისძიებების და ასევე, ფესტივალის ორგანიზებასთან დაკავშირებული დაფინანსება, რისთვისაც საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებიდან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 58.2 მლნ ლარი.
- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ჯაღმიანი, ზაქანი, ხადი და კაიშაური) მცხოვრები მოსახლეობის (3.1 ათასზე მეტი აბონენტი) მიერ 2014 წლის დეკემბერში და 2015 წლის იანვარ-მაისში მოხმარებული 6.9 მლნ მ³ ბუნებრივი აირის ღირებულება 2.8 მლნ ლარის ოდენობით;
- სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის მიიმართა 37.9 მლნ ლარი. მათ შორის: სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენის მიზნით - 33.0 მლნ ლარი, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ექსპლუატაციის ხარჯების და კომპანიის სხვა მიმდინარე ხარჯების ნაწილობრივი სუბსიდირებისათვის - 4.9 მლნ ლარი.
- საანგარიშო პერიოდში 41.8 მლნ ლარი მიიმართა მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის დასაფინანსებლად, ხოლო 3.4 მლნ ლარი - აგროდაზღვევის ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველსაყოფად.
- ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში საქართველოდან მსოფლიოს 33 ქვეყანაში ექსპორტირებულია 13 706.7 ათასი ბოთლი (0.75 ლ) ღვინო, რაც თანხობრივად 39 425.6 ათას აშშ დოლარს შეადგენს. ექსპორტის მატება აღინიშნება ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბაზრებზე, როგორებიცაა ყაზახეთი, ჩინეთი, ლატვია, ესტონეთი, გერმანია, იაპონია, კანადა, დიდი ბრიტანეთი, ჰონგ-კონგი და სხვა. მთლიანობაში ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა წლის პირველ ნახევარში 58.3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი, ყაზახეთი, უკრაინა, პოლონეთი, ჩინეთი;
- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯული იქნა 187.3 მლნ ლარი, მათ შორის:
 - ✓ გზების პერიოდული შეკეთებაზე და რეაბილიტაციაზე - 39.5 მლნ ლარი.
 - ✓ გზების მიმდინარე შეკეთებაზე და შენახვაზე ზამთრის პერიოდში - 19.0 მლნ ლარი.
 - ✓ ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობაზე - 85.7 მლნ ლარი.
- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 76.5 მლნ ლარი, მათ შორის:
 - ✓ მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამაზე - 48.6 მლნ ლარი;
 - ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) პროექტზე - 3.5 მლნ ლარი.
 - ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) პროექტზე - 7.4 მლნ ლარი.
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე მიმართული იქნა 49.1 მლნ ლარი, მათ შორის:
 - ✓ წყლის ინფრასტრუქტურის განახლებაზე - 8.9 მლნ ლარი.
 - ✓ ურბანული მომსახურების გაუმჯობესებაზე - 37.7 მლნ ლარი.
- სათხილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, მოვლა შენახვაზე ზემო სვანეთში მიმართულ იქნა 10.0 მლნ ლარი, ხოლო ჭიათურის საბაგრო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე - 5.4 მლნ ლარი.

- სახელმწიფო ქონების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მიზნით, სახელმწიფო უწყებებს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს გადაეცა 249 ერთეული უძრავი ქონება, ხოლო თვითმმართველ ერთეულებს - 561 ობიექტი;

- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ ხელშეკრულებები გაფორმდა 19 ბენეფიციარ კომპანიასთან, საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიზნით და ასევე, პროგრამის ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში ქონება გადაეცა 21 ბენეფიციარს;

- შუალედური თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა №64 სენაკის და №67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქების №64.13 ფოცხოს და №67.11 ერგეტის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში. არჩევნებზე მიიმართა 114,3 ათას ლარამდე.

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 11 პოლიტიკური პარტია;

- დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ტონგას სამეფოს შორის, გაიზარდა საქართველოს საელჩოების გადაფარვის არეალი. ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ხელი მოეწერა 39 ხელშეკრულებასა და ოქმს, ხოლო ძალაში შევიდა 29 ხელშეკრულება. საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური შენატანი საერთაშორისო ორგანიზაციებში და მათ ფარგლებში არსებულ ფონდებსა და სამშვიდობო მისიებში

- ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება პორტუგალიასთან და „საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ 2006 წლის 1 ივნისის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ოქმი. ხელი მოეწერა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებებს კვიპროსთან, ბელარუსთან, ისლანდიასა და ლიხტენშტაინთან. გაიმართა მოლაპარაკებები და პარაფირებული იქნა შეთანხმების ტექსტები პოლონეთთან, სამხრეთ კორეასთან და საუდის არაბეთთან.

- „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში” ცვლილებების შეტანის თაობაზე” შეთანხმების შესაბამისად 2015 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 15 მარტს გამოშვებული 440 846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 400 846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 5.919 პროცენტი სარგებლის გადახდით და 40 000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, საიდანაც:

- ✓ 10 000.0 ათასი ლარი გადაფორმდა წლიური 8.000 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- ✓ 8 000.0 ათასი ლარი წლიური 8.250 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- ✓ 12 000.0 ათასი ლარი წლიური 8.625 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- ✓ 10 000.0 ათასი ლარი წლიური 9.125 პროცენტი სარგებლის გადახდით.

ასევე, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2015 წლის 15 მარტს განხორციელდა 2010 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 5 000.0 ათასი ლარის ოდენობით და 2015 წლის 15 ივნისს განხორციელდა 2011 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 10 000.0 ათასი ლარის ოდენობით.

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 40 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 35.4 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური

კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 687 324.4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 669 811.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.5%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 17.9%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 15.2%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 441 453.3 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 413 189.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.6%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 11.0%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 9.4%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 68 564.2 ათასი ლარი;
- მივლინებები - 29 057.8 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 87 368.7 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 7 976.3 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები - 27 120.7 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 13 545.6 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 11 257.4 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 56 532.6 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 3 569.0 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 108 196.9 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 156 298.6 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმის 96.2%), რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 4.2%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 81 021.6 ათასი ლარი, ხოლო სამინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე 75 203.2 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 113 455.1 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 110 274.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 2.9%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 29 304.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94.5%-ს შეადგენს;

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე ჯამურად მიიძღვრა 16 636.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90.4%-ს შეადგენს;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე სანგარიშო პერიოდში მიიძღვრა 10 037.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.7%-ს შეადგენს;
- ✓ შეღავათიანი აგროკრედიტები - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით მიიძღვრა 8 030.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი - აღნიშნული მიზნით მიიძღვრა 7 805.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.7%-ს შეადგენს;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 547 634.7 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (572 990.5 ათასი ლარი) 95.6%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 14.6%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 342 613.2 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (1 343 215.2 ათასი ლარი) 99.9%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 35.9%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიძღვრა 681 339.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სოციალური დახმარებები - აღნიშნული მიზნით მიიძღვრა 292 565.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა - აღნიშნული მიზნით მიიძღვრა 340 114.1 ათასი ლარი (გეგმის 101.7%), მათ შორის მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვაზე მიიძღვრა 267 510.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 534 357.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 500 758.9 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 93.7%-ს. „სხვა ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 13.4%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 11.4%-ს შეადგენს.


„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიძღვრა 203 528.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.4%-ს შეადგენს;
- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიძღვრა 65 318.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 83.7%-ს შეადგენს;
- მცირემწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები - აღნიშნული მიზნით მიიძღვრა 41 790.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ს შეადგენს.

- სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 37 646.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.5%-ს შეადგენს;
- იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროების ხაზით) - აღნიშნული მიზნით მიიმართა 24 288.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 187.2%-ს შეადგენს;
- ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - მეორე პროექტი (ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია) - აღნიშნული მიზნით მიიმართა 12 378.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 73.1%-ს შეადგენს;
- მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 12 038.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 103.7%-ს შეადგენს;


2015 წლის 6 თვის ხარჯების სტრუქტურა

(საკასო შესრულება)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

2014-2015 წლების 6 თვის ფაქტიური შესრულება
ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708 - დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

შენიშვნა: 701* - გათვალისწინებული არ არის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დაფინანსებამ შეადგინა 913 793.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (966 881.5 ათასი ლარი) 94.5%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 23.0%-ს შეადგენს. მათ შორის:

- ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 176 511.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (197 282.2 ათასი ლარი) 89.5%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 16 601.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (18 932.5 ათასი ლარი) 87.7%-ია;

- ✓ ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 16 810.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (16 039. 9 ათასი ლარი) 104.8%-ია;
- ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 156 224.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (162 400 ათასი ლარი) 96.2%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის დაფინანსებამ შეადგინა 531 871.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (554 882.3 ათასი ლარი) 95.9%;
- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 15 773.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (17 344.6 ათასი ლარი) 90.9%-ია.

- თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 298 484.8 ათასი ლარის გამოყოფა. საკასო შესრულებამ შეადგინა 296 657 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.4 %, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 7.5%. მათ შორის:

- ✓ შეიარაღებული ძალების დაფინანსებამ შეადგინა 277 965.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (278 217.5 ათასი ლარი) 99.9 %;
- ✓ საგარეო სამხედრო დახმარების დაფინანსებამ შეადგინა 1 027.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 043.6 ათასი ლარი) 98.4%.
- ✓ თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 16 849.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (18 248.5 ათასი ლარი) 92.3%-ს შეადგენს.
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ თავდაცვის სფეროში შეადგინა 815.1 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის (975.3 ათასი ლარი) 83.6%-ია.

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 462 316.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 443 976.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 11.2%. მათ შორის:

- ✓ პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 307 042.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (312 949.7 ათასი ლარი) 98.1 %;
- ✓ სახანძრო სამაშველო სამსახურის დაფინანსებამ შეადგინა 4 206.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4 208.0 ათასი ლარი) 100%.
- ✓ სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 49 266.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (53 502.2 ათასი ლარი) 92.1 %-ს შეადგენს;
- ✓ სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 54 289.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (54 958.0 ათასი ლარი) 98.8%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 29 170.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (36 698.9 ათასი ლარი) 79.5%-ს შეადგენს.

- ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 417 935.8 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 389 291.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 9.8%. მათ შორის:

- ✓ საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 12 979.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (15 097.8 ათასი ლარი) 86.0%;

- ✓ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 92 874.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (93 667.4 ათასი ლარი) 99.2%-ს შეადგენს;
- ✓ სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 8 803.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 994.3 ათასი ლარი) 110.1%-ს შეადგენს;
- ✓ სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაზე და მშენებლობაზე მიმართული იყო 647.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (731.0 ათასი ლარი) 88.6%;
- ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 231 761.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (245 104.6 ათასი ლარი) 94.6%;
- ✓ ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 29 407.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (41 090.6 ათასი ლარი) 71.6%;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 484.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (530.0 ათასი ლარი) 91.5%-ს შეადგენს;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 12 333.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (13 720.2 ათასი ლარი) 89.9%-ს შეადგენს.

- გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 19 886.9 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 16 662.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 83.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.4%. მათ შორის:

- ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 7 129.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (8 979.4 ათასი ლარი) 79.4 %-ს შეადგენს;
- ✓ გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 9 533.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (10 907.5 ათასი ლარი) 87.4%-ს შეადგენს.

- საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 28 524.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 13 680.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 48.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.3%. მათ შორის:

- ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 4 662.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 812.0 ათასი ლარი) 59.7%-ს შეადგენს;
- ✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 8 862.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (17 985.0 ათასი ლარი) 49.3%-ს შეადგენს.
- ✓ საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 155.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 727.0 ათასი ლარი) 5.69%-ს შეადგენს.


- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 384 147.5 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 389 606.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 101.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 9.8%. მათ შორის:

- ✓ სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 11 418.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (11 479.9 ათასი ლარი) 99.5%;
- ✓ ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 286 752.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (286 877.6 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 64 737.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (59 285.6 ათასი ლარი) 109.2%;

- ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 7 140.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 214.5 ათასი ლარი) 99.0%-ს შეადგენს;
 - ✓ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 19 556.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (19 290.0 ათასი ლარი) 101.4%-ს შეადგენს.
- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 114 423.1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 106 141.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 2.7%. მათ შორის:
 - ✓ დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 34 194.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (37 292.4 ათასი ლარი) 91.7 %;
 - ✓ კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 44 042.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (45 832.6 ათასი ლარი) 96.1%-ს შეადგენს;
 - ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 22 188.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (24 742.6 ათასი ლარი) 89.7%-ს შეადგენს;
 - ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 1 392.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 392.0 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
 - ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 4 325.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 163.5 ათასი ლარი) 83.8%-ს შეადგენს.
- განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 386 338.6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 360 872.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93.4 %, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 9.1%. მათ შორის:
 - ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 219 540.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (229 072.9 ათასი ლარი) 95.8%-ს შეადგენს;
 - ✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 9 611.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (9 899.7 ათასი ლარი) 97.1%;
 - ✓ უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 62 208.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (65 352.5 ათასი ლარი) 95.2%-ს შეადგენს;
 - ✓ უმაღლესის შემდგომი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 4.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (300.0 ათასი ლარი) 1.5%-ს შეადგენს;
 - ✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 23 408.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (26 099.6 ათასი ლარი) 89.7%-ს შეადგენს;
 - ✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 46 098.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (55 613.9 ათასი ლარი) 82.9%-ს შეადგენს.
- სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 1 049 801.9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 050 682.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 26.4%. მათ შორის:
 - ✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1 373.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 374.2 ათასი ლარი) 99.9%;

- ✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 681 474.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (681 483.3 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 298 714.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (299 192.4 ათასი ლარი) 99.8%;
- ✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 5 061.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (5 079.2 ათასი ლარი) 99.7%;
- ✓ სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 45 891.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (39 368.5 ათასი ლარი) 116.6 %;
- ✓ სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 18 166.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (23 304.2 ათასი ლარი) 78.0%-ს შეადგენს.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ კრილში



საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 50 000.0 ათასი ლარით. ამასთან, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების ასიგნებების გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 25 ივნისის N1356 განკარგულების თანახმად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები იზრდება 7 000.0 ათასი ლარით და შესაბამისად განისაზღვრა 57 000.0 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით

გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 52 514.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 41 897.7 ათასი ლარი.

ლარებში

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
საქართველოს მთავრობის კანცელარია		4,186,745.8	2,875,352.5	785,026.9	2,090,325.6
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N3 06.01.15.	ადრიატიკის ზღვაში, ბორან „ნორმან ატლანტიკზე“ ტრაგიკულად დაღუპული მცხეთის დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრის, ომარ კარტოზიას (მამა ილია) დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად გარდაცვლილის ოჯახის დახმარება	10,000.0	10,000.0	10,000.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N04-ს 09.03.15.	ს ა ი დ უ მ ლ ო	2,333,000.0	2,333,000.0	275,345.1	2,057,654.9
საქართველოს მთავრობის განკარგულება N714 08.04.15.	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელებისათვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	1,458,745.8	147,352.5	147,352.5	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N952 15.05.15.	საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მისისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების მიზნით	385,000.0	385,000.0	352,329.3	32,670.7
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია		130,000.0	130,000.0	115,922.2	14,077.8
საქართველოს მთავრობის განკარგულება N713 08.04.15.	2015 წლის 31 მაისს დანიშნული სენაკისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნების დაფინანსების მიზნით	130,000.0	130,000.0	115,922.2	14,077.8
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი		1,541,000.0	770,661.0	535,227.0	235,434.0
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N142 21.04.15.	2015 წლის 4-10 მაისს საქართველოში ნატო-ს კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	21,000.0	21,000.0	16,834.9	4,165.1
საქართველოს მთავრობის განკარგულება N294 19.02.15.	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელებისათვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	1,300,000.0	549,661.0	415,560.9	134,100.1
საქართველოს მთავრობის	ქ. ბათუმში, 2015 წლის 18-19 ივნისს დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენციის	220,000.0	200,000.0	102,831.3	97,168.7

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
განკარგულებ ა N1065 25.05.15.	„საქართველოს ევროპული გზა“ მაღალ დონეზე ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით				
დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი		200,000.0	200,000.0	181,010.1	18,989.9
საქართველოს მთავრობის განკარგულებ ა N723 08.04.15.	ქართული დიასპორის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად	200,000.0	200,000.0	181,010.1	18,989.9
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი		216,000.0	216,000.0	216,000.0	-
საქართველოს მთავრობის განკარგულებ ა N30 15.01.15.	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონში მცხოვრები 108 ოჯახის ზამთრის პერიოდში ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით (თითოეულ ოჯახზე - 2 000 ლარი)	216,000.0	216,000.0	216,000.0	0.0
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		14,853,473.6	14,853,473.6	14,853,473.6	-
საქართველოს მთავრობის განკარგულებ ა N38 20.01.15.	კომპანია „Microsoft“-ის ლიცენზიების შესყიდვის მიზნით	14,853,473.6	14,853,473.6	14,853,473.6	0.0
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		1,975,000.0	428,600.0	263,963.5	164,636.5
საქართველოს მთავრობის განკარგულებ ა N142 05.02.15.	საქართველოს მასშტაბით სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის განხორციელებისათვის საჭირო საქონლის, მომსახურების შესყიდვისა და შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით	900,000.0	428,600.0	263,963.5	164,636.5
საქართველოს მთავრობის განკარგულებ ა N1375 26.06.15.	მაუწყებლებისათვის მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მოქმედების ვადის დარჩენილი დროის პროპორციულად ლიცენზიის გადახდილი საფასურის დაბრუნების მიზნით	1,075,000.0			0.0
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო		2,637,840.3	1,158,045.2	1,158,008.9	36.3
საქართველოს მთავრობის განკარგულებ ა N10 15.01.15.	საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, პირდაპირი ანგარიშსწორების გზით, იურიდიული კომპანიებისა და სისხლის სამართლის დარგის სპეციალისტებისაგან იურიდიული მომსახურების შესყიდვის, სათანადო ცოდნის მქონე ექსპერტების მიერ საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს საექსპერტო დაწესებულებებში შესაბამისი კვლევების ჩატარების, მათ ვიზიტთან დაკავშირებული ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გადასახადების დასაფინანსებლად	1,562,191.9	535,478.7	535,447.8	30.9
საქართველოს მთავრობის განკარგულებ	სახელმწიფოს საერთაშორისო საარბიტრაჟო დავების წარმოების და უცხო ქვეყნის სასამართლოებში მიმდინარე საქმეებთან	1,075,648.4	622,566.5	622,561.1	5.4

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
ა N596 19.03.15.	დაკავშირებით სახელმწიფოს წარმომადგენლობების განხორციელების მიზნით, იურიდიული კომპანიებისგან იურიდიული მომსახურების შესყიდვისათვის და საქართველოს კანონმდებლობით მასთან დაკავშირებული გადასახადების დასაფინანსებლად				
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო		193,282.2	193,282.2	193,282.2	-
საქართველო ს პრემიერ- მინისტრის ბრძანება N216 25.05.15.	ავსტრიის რესპუბლიკაში გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქე სოფიკო ლოლაშვილის საქართველოში გადმოსვენებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	11,654.2	11,654.2	11,654.2	0.0
საქართველო ს პრემიერ- მინისტრის ბრძანება N10- ს 27.05.15.	ს ა ი დ უ მ ლ ო	68,898.0	68,898.0	68,898.0	0.0
საქართველო ს მთავრობის განკარგულებ ა N1180 04.06.15.	2015 წლის აპრილში ნეპალში მომხდარი ბუნებრივი კატასტროფის შედეგების აღმოფხვრის მიზნით, ნეპალისათვის ფინანსური დახმარების აღმოსაჩენად	112,730.0	112,730.0	112,730.0	0.0
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო		61,000.2	61,000.2	33,275.2	27,725.0
საქართველო ს პრემიერ- მინისტრის ბრძანება N28 28.01.15.	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით	27,725.0	27,725.0	0.0	27,725.0
საქართველო ს პრემიერ- მინისტრის ბრძანება N92 19.03.15.	ქ. ათენში 2015 წლის 25-30 მარტს საერთაშორისო კონკურსში „EUROMATHS-2015“ საქართველოს მოსწავლეების მონაწილეობასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით	33,275.2	33,275.2	33,275.2	0.0
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო		625,000.0	625,000.0	591,234.9	33,765.1
საქართველო ს მთავრობის განკარგულებ ა N952 15.05.15.	საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მასისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების მიზნით	625,000.0	625,000.0	591,234.9	33,765.1
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო		2,025,818.3	2,025,818.3	2,015,909.8	9,908.6
საქართველო ს მთავრობის განკარგულებ ა N881 24.04.15.	2011 წლის აგვისტოში, ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის N25-ში მდებარე სასტუმრო „აფხაზეთი“-ს შენობიდან გამოსახლებული 91 დევნილი ოჯახისათვის საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების მიზნით	2,025,818.3	2,025,818.3	2,015,909.8	9,908.6
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო		169,128.0	169,128.0	121,365.0	47,763.0

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N03-ს 28.01.15.	ს ა ი დ უ მ ლ ო	70,221.0	70,221.0	70,221.0	0.0
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N04-ს 25.02.15.	ს ა ი დ უ მ ლ ო	27,876.0	27,876.0	27,586.0	290.0
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N07-ს 30.03.15.	ს ა ი დ უ მ ლ ო	23,558.0	23,558.0	23,558.0	0.0
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N09-ს 25.05.15.	ს ა ი დ უ მ ლ ო	47,473.0	47,473.0	0.0	47,473.0
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო		3,039,000.0	3,039,000.0	2,750,000.0	289,000.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N104 02.02.15.	ა(ა)იპ - საქართველოს ძალისხმობის ეროვნულ ფედერაციას - ქ. თბილისში 2015 წლის 9-18 აპრილს, ძალისხმობაში ევროპის ჩემპიონატის მაღალ დონეზე ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით	1,700,000.0	1,700,000.0	1,700,000.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N414 05.03.15.	ა(ა)იპ - საქართველოს ძალისხმობის ეროვნულ ფედერაციას - ქ. თბილისში 2015 წლის 20-22 მარტს, ძალისხმობაში გრან-პრის ტურნირის მაღალ დონეზე ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით	1,000,000.0	1,000,000.0	1,000,000.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1108 01.06.15.	სპორტის ინფრასტრუქტურის, რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლების და ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებისათვის	289,000.0	289,000.0	0.0	289,000.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N952 15.05.15.	საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების მიზნით	50,000.0	50,000.0	50,000.0	0.0
სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი		224,000.0	224,000.0	158,584.9	65,415.1
საქართველოს მთავრობის განკარგულება N952 15.05.15.	საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების მიზნით	224,000.0	224,000.0	158,584.9	65,415.1
სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია		200,000.0	200,000.0	200,000.0	-
საქართველო	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მიერ	200,000.0	200,000.0	200,000.0	0.0

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
ს მთავრობის განკარგულება ა N1358 25.06.15.	დაფუძნებული ა(ა)იპ - საფეხბურთო კლუბ ცხინვალის „ცხინვალის“ უფვას ევროპის ლიგის 2015-2016 წლის სეზონის გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად				
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი		755,000.0	755,000.0	441,122.2	313,877.8
საქართველო ს მთავრობის განკარგულება ა N189 12.02.15.	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატზე დაკისრებული ფუნქცია- მოვალეობების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით	755,000.0	755,000.0	441,122.2	313,877.8
საქართველოს საგაჭრო-სამრეწველო პალატა		500,000.0	500,000.0	491,659.9	8,340.1
საქართველო ს მთავრობის განკარგულება ა N1064 25.05.15.	პალატისათვის დაკისრებული ფუნქცია- მოვალეობების შეუფერხებლად და სრულყოფილად განხორციელების მიზნით	500,000.0	500,000.0	491,659.9	8,340.1
საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები		18,982,000.0	16,792,647.0	16,792,647.0	-
საქართველო ს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N7 12.01.15.	მიმდინარე წლის იანვარში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი დიდთოვლობისა და ძლიერი ყინვების გამო, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დარჩენილი მგზავრებისათვის საკვები პროდუქტებისა და სურსათის შეძენის მიზნით	50,000.0	50,000.0	50,000.0	0.0
საქართველო ს მთავრობის განკარგულება ა N26 15.01.15.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს - შპს „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისის“ შეუფერხებელი ფუნქციონირების დაფინანსების მიზნით	830,600.0	830,600.0	830,600.0	0.0
საქართველო ს მთავრობის განკარგულება ა N88 29.01.15.	2014 წლის სექტემბერში მომხდარი სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის ზამთრისათვის საკვები პროდუქტებით მომარაგების მიზნით (ზამთრის პერიოდში)	321,000.0	321,000.0	321,000.0	0.0
საქართველო ს მთავრობის განკარგულება ა N140 05.02.15.	აჭარის ა რ-ს სსიპ - სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსათვის სარგებლობაში გადასაცემი ქონების (ქ.ბათუმში, ანგისის დასახლებაში არსებული ორი უძრავი ნივთის - მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: 05.32.01/049 და 05.32.01.316) შეძენის მიზნით	4,486,400.0	4,486,400.0	4,486,400.0	0.0
საქართველო ს მთავრობის განკარგულება ა N605 20.03.15.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“ ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით (ოლიმპიური ფესტივალის გახსნა-დახურვის, ოფიციალური ცერემონიალის ნაწილობრივი დაფინანსებისათვის - 6 439.0 ათასი ლარი)	6,439,000.0	6,439,000.0	6,439,000.0	0.0
საქართველო ს პრემიერ-მინისტრის ბრძანება	ქალაქ ქობულეთში, 2015 წლის 10 მაისს, ხანძრის შედეგად დაღუპულთა სამი ოჯახის დახმარების მიზნით	30,000.0	30,000.0	30,000.0	0.0

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
N187 11.05.15.					
საქართველო ს მთავრობის განკარგულებ ა N952 15.05.15.	საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების მიზნით	295,000.0	267,647.0	267,647.0	0.0
საქართველო ს მთავრობის განკარგულებ ა N1108 01.06.15.	სპორტის ინფრასტრუქტურის, რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლების და ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებისათვის	1,090,000.0	188,000.0	188,000.0	0.0
საქართველო ს მთავრობის განკარგულებ ა N1181 04.06.15.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის - „თბილისი 2015“-ის ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	5,190,000.0	4,000,000.0	4,000,000.0	0.0
საქართველო ს მთავრობის განკარგულებ ა N1232 14.06.15.	2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმით გამოწვეული სტიქიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებისათვის დახმარების გაწევის მიზნით	250,000.0	180,000.0	180,000.0	0.0
ს უ ლ		52,514,288.4	45,217,008.0	41,897,713.3	3,319,294.7

* შენიშვნა: ნორმატიული აქტით განსაზღვრული თანხა შედგება საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი თანხისა და ასევე, 30.06.2015 წლის მდგომარეობით შესაბამისი ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით გამოსაყოფი თანხისაგან.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 1 915.8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 941.0 ათასი ლარი.

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის ადრესატი	ნორმატიული აქტით განსაზღვრული თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია		1,126,190.5	1,113,190.5	589,940.6	523,249.9
საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N05/01/01 05.01.15.	შეწყალების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით	30,000.0	17,000.0	14,500.0	2,500.0
საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N09/01/01 09.01.15.	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის ინფორმაციის შეფუერხებელი მიწოდების უზრუნველსაყოფად, მედია მონიტორინგის სამსახურისა (IPM) და საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ (IPN) მომსახურების შესაძენად საჭირო ხარჯების	16,451.0	16,451.0	6,643.5	9,807.6

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის ადრესატი	ნორმატიული აქტით განსაზღვრული თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
	დაფინანსების მიზნით				
საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N22/01/01 22.01.15.	ასოციაცია „ნოე ჟორდანას სახელობის ინსტიტუტისათვის“ გადასაცემად - საფრანგეთის რესპუბლიკაში, ლევილის მამულში არსებული ბიბლიოთეკის გარემონტებისა და აღდგენისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარების მიზნით	60,442.2	60,442.2	60,442.2	0.0
საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N05/02/01 05.02.15.	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - პლატფორმა ცვლილებებისთვის მიერ პანკისის ხეობის ახალგაზრდებისათვის კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის შესაქმნელად დაგეგმილი პროექტის „სოფლის ფოტოკლუბი - პანკისის“ განხორციელების მიზნით	19,000.0	19,000.0	13,000.0	6,000.0
საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N13/02/01 13.02.15.	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის ინტერნეტით სარგებლობისათვის აუცილებელი მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველსაყოფად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით	5,014.6	5,014.6	4,992.8	21.9
საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N27/02/01 27.02.15.	გიორგი ფირცხალაიას (პირადი ნომერი 01653004276) გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მკურნალობისათვის	5,281.8	5,281.8	5,281.8	0.0
საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N05/03/01 05.03.15.	15-18 აპრილს ნოდარ ჭიბრიჭვილისა და თამარ ფაცაციათათვის ამერიკის შეერთებულ შტატების ქალაქ ლინკოლნში აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროგრამის (JILEP) ფარგლებში ორგანიზებულ სამართლებრივ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დახმარების აღმოჩენის მიზნით	5,108.9	5,108.9	5,108.9	0.0
საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N23/03/01 23.03.15.	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას - მის მიერ კახეთის რეგიონში სოფლის ბიბლიოთეკების კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობებით აღჭურვის საპილოტე პროექტის - „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ - განხორციელების მიზნით	99,572.0	99,572.0	73,302.0	26,270.0
